# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

საქართველოს პარლამენტი

№ 97/32 — 10 სექტემბერი, 2013 წელი

**საქართველოს კანონის პროექტი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/229; 05.09.2013)**

*(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)*

დასახელება

| | |
|---|---|
| საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი | საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი |
| ინიციატორი | ავტორი |

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

| | | |
|---|---|---|
| 05. 09. 2013. | წამყვან კომიტეტზე - 10.09 - 20.09 | 18.09 – 20.09 |
| შემოსვლის თარიღი | საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი | პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი |

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე — ზურაბ აბაშიძე

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№97/71

2013 წელი, 10 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/229; 05.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №97/32 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე